პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 19

2014 წ. "29" 08

ქ.თბილისი

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარის" ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 224066980) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით.
2. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარს" მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №5 სხდომის ოქმის მე-5 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე

დანართი

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	ელექტრიკოსი	III	ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2.	შემდუღებელი(ელექტრორკალური)	III	შემდუღებლის(ელექტრორკალური) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45
3.	ავტომობილის ზეინკალი	III	ავტომობილის ზეინკლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
4.	მეფილე-მომპირკეთებელი	III	მეფილე-მომპირკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45
5.	დურგალი	III	დურგლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
6.	აგრარული ტექნიკის მექანიკოსი	III	აგრარული ტექნიკის მექანიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	70

7.	სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტი	III	სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
8.	ინტერნეტტექნოლოგი(ვებსპეციალისტი)	III	ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი)მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
9.	ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი	III	ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
10.	მცენარეების დამამზადებელი(სამკურნელო,არომატული)	III	მცენარეების დამამზადებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
11.	ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტი(წვრილ ცხოველთა;ძაღლი,კატა და სხვა;სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების:ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველებისა და სხვა)	III	ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტის(წვრილ ცხოველთა;ძაღლი,კატა და სხვა;სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების:ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველებისა და სხვა) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45
12.	ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტი(წვრილ ცხოველთა;ძაღლი,კატა და სხვა;სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების:ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველებისა და სხვა)	IV	ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტის(წვრილ ცხოველთა;ძაღლი,კატა და სხვა;სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების:ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველებისა და სხვა) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	75

13.	ხილ -ბოსტნეულის გადამმუშავებელი	III	ხილ -ბოსტნეულის გადამმუშავებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
14.	კონდიტერი	III	კონდიტერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90
15.	მზარეული	II	მზარეულის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45
16.	მზარეული	III	მზარეულის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45
17.	ბუღალტერი	III	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღალტერ-მოანგარიშე	45
18.	სარესტორნო საქმისმწარმოებელი	III	სარესტორნო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45
19.	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	III	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
20.	სტილისტ-პარიკმახერი (ქალი, მამაკაცი)	III	სტილისტ-პარიკმახერის/ქალი,მამაკაცი/მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45
21.	ფერმერი	IV	ფერმერის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	93